

ინფორმაცია

COVID-19 შემთხვევები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2020 - 2021 წლებში

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

თებერვალი, 2022 წელი


ბათუმი

საქართველოში COVID-19 -ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდაფეთქება პანდემიად გამოაცხადა.

აჭარის რეგიონში ინფიცირების პირველი შემთხვევა გამოვლინდა საზღვრის კვეთის საკარანტინე სივრცეში 2020 წლის 14 მარტს.


2020 - 2021 წლებში აჭარაში სულ დადასტურდა 90 318 შემთხვევა.




2020 წლის აპრილში ქვეყანაში და მათ შორის აჭარის რეგიონში დაიწყო ახალ შემთხვევათა მატება, ე.წ. „პირველი ტალღის“ ფარგლებში თითქმის ყოველდღე ხდებოდა 3-7 ახალი შემთხვევის გამოვლენა, მაისიდან ივნისის ჩათვლით ეპიდსიტუაცია დასტაბილურდა, აგვისტოს შუა რიცხვებიდან კი კვლავ დაიწყო შემთხვევათა ინტენსიური მატება, რაც გაგრძელდა მომდევნო თვეების განმავლობაშიც და შემოდგომის ეპიდაფეთქების დროს ე.წ. „მეორე ტალღის“ პირობებში შემთხვევათა პიკური რაოდენობა (700 და მეტი) აღირიცხა ნოემბრის შუა რიცხვებში, ნოემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო ახალ შემთხვევათა კლება, რაც მეტად ინტენსიური გახდა მომდევნო პერიოდში ნოემბრის ბოლოდან დაწესებული შემზღვეველი ღონისძიებების ამოქმედების შედეგად. შემთხვევათა კლების ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წლის მარტის პირველ ნახევრამდე, მარტის ბოლოდან კი დაიწყო მცირე ინტენსივობით ახალ შემთხვევათა რიცხვის ზრდა, რაც შენარჩუნდა ე.წ. „მესამე ტალღის“ პირობებში მაისის შუა რიცხვებამდე. აპრილის ბოლო-მაისის ეპიდემიური ტალღა ხასიათდებოდა წინა პერიოდთან შედარებით დაახლოებით 4-ჯერ ნაკლები ინტენსივობითა და პიკურ შემთხვევათა რაოდენობით (160). შეზღუდვების თანმიმდევრული შემსუბუქებისა და შემდგომ სრული მოხსნის ფონზე 2021 წლის ივლისიდან კვლავ დაიწყო შემთხვევათა ინტენსიური მატება და ე.წ. „მეოთხე ტალღის“ პიკი აღინიშნა აგვისტოს შუა რიცხვებში, ეს ტალღა წინა პერიოდებთან შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (პიკური - 905 შემთხვევა), აგვისტოს მეორე ნახევრიდან დაიწყო შემთხვევათა კლება, რაც გაგრძელდა სექტემბრის ბოლომდე. ქვეყანაში ე.წ. „მეხუთე ტალღის“ ფარგლებში შემთხვევათა მატება აღირიცხა შემოდგომაზე ნოემბრის პიკით, ამ ეპიდემიური მატების

მიმდინარეობა აჭარის რეგიონში იყო შედარებით მსუბუქი, რაც შესაძლოა განპირობებული იყო წინა პერიოდების მაღალი ავადობითა და ვაქცინაციის უფრო მაღალი მაჩვენებლებით სხვა რეგიონებთან შედარებით.


2020 წ-2021 წლებში COVID-19 -ის დიაგნოსტიკის მიზნით აჭარაში სულ ჩატარდა 1 535 559 ტესტი.




2020 წლის მაისიდან PCR ტესტირებასთან ერთად ქვეყანაში დაიწყო ანტიგენზე და ანტისხეულებზე დაფუძნებული ტესტირება გარკვეულ ჯგუფებში, თუმცა შემთხვევის დადასტურება მხოლოდ PCR ტესტებით ხორციელდებოდა. 2020 წლის ნოემბრის ბოლოდან კი COVID-19-ის შემთხვევის დადასტურებისათვის გამოიყენებოდა ანტიგენის ტესტით სწრაფი ტესტირებაც, საეჭვო შემთხვევათა დროული დიაგნოსტიკისათვის აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ტარდებოდა გაფართოებული ტესტირება უქმე დღეების განმავლობაშიც. ტესტირების სტრუქტურაში გაიზარდა ანტიგენზე დაფუძნებული სწრაფი ტესტირების წილი (50% და მეტი).





დადებითობის მაჩვენებლის (დადასტურებულ შემთხვევათა ხვედრითი წილი სულ ჩატარებული ტესტების რაოდენობაში) მატება დაიწყო 2020 წლის სექტემბრიდან, მკვეთრი ზრდის ტენდენცია გრძელდებოდა ნოემბრის ბოლომდე (ორკვირიანი საშუალო მაქსიმალური მნიშვნელობა -47%) რის შემდეგაც დაიწყო მკვეთრი კლება და 2021 წლის თებერვლის დასაწყისიდან ორკვირიანი საშუალო მნიშვნელობა ნაკლები იყო 2%-ზე, აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობაზე გავლენას ახდენდა ტესტირების რაოდენობის ზრდა და ახალ შემთხვევათა მატება-კლების ტენდენციები.




2020-2021 წლებში დადასტურებული შემთხვევებიდან 56 % იყო ქალი, თითქმის იგივე იყო სქესის მიხედვით პროცენტული წილი ცალკე 2020 და 2021 წლისათვისაც.



დადასტურებულ შემთხვევათა შორის 17.1% იყო 0-18 წლის ასაკში (მ.შ. 0.7% - 1 წლამდე). მოზრდილთა შორის, რომლებიც საერთო შემთხვევების 82.9%-ს შეადგენს, შემთხვევათა ყველაზე დიდი რაოდენობა აღირიცხა 30-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში.




აჭარის რეგიონში 2020-2021 წლებში 0-18 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების წილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:




ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ინციდენტობების თანაფარდობა 2020 და 2021 წლებში განსხვავებულია, კერძოდ 2020 წელს შედარებით მეტად დაზარალდა 30-59 და 60 წელზე მეტი ასაკი, შედარებით ნაკლები იყო მაჩვენებელი 15-29 ასაკობრივ ჯგუფში, მაშინ როცა 2021 წელს 15-29 წლის ინციდენტობა თითქმის გაუტოლდა უფროს ასაკს.


COVID-19-ის ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, აჭარა, 2020-2021




მუნიციპალიტეტების მიხედვით აბსოლუტურ შემთხვევათა 57% გამოვლინდა ბათუმში, 20%-ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ხელვაჩაურში - 12%, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შესაბამისად - 4%, 3% და 4%.



მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ავადობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე დაანგარიშებით აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია ბათუმში, თითქმის უტოლდება აჭარის საშუალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მონაცემი, შედარებით ნაკლებია გავრცელება ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, უფრო მეტად ჩამორჩება აჭარის საშუალოს შუახევის მაჩვენებელი და ყველაზე დაბალია ხულოს მუნიციპალიტეტში.




აჭარაში COVID-19-ის დიაგნოზით გარდაცვალების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის აპრილის თვეში, ე.წ. „პირველი ტალღის“ დროს. ლეტალური გამოსავლის მომდევნო შემთხვევები დაიწყო სექტემბრის თვიდან ეპიდსიტუაციის გაუარესების ფონზე და შემთხვევათა მატების დინამიკის შესაბამისად იმეორებდა მატება-კლების ტენდენციას 2-3 კვირიანი პერიოდის წანაცვლებით. სულ 2020-2021 წლებში COVID-19-ის დიაგნოზით გარდაიცვალა 1159 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინფიცირებული პირი.




COVID-19-ის დიაგნოზით გარდაცვლილთა შორის 54% -ს შეადგენდნენ მამაკაცები და 46% იყო ქალი. გარდაცვლილთა ასაკობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი - 31,9% მოდიოდა 70-79 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, 25,2% და 25,6% შესამაბისად - 60-69 და 80 წელზე უფროს ასაკზე, 60 წელზე ნაკლებ ასაკზე ჯამურად 17,3%.

COVID-19-ით სიკვდილის შემთხვევების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით, აჭარა, 2020-2021



ასაკობრივ ლეტალობის (გარდაცვლილთა ხვედრითი წილი ასაკობრივ ჯგუფებში დაავადებულთა რაოდენობაში), შედარებით ჩანს, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ასაკობრივი ლეტალობის მაჩვენებელი და ყველაზე მაღალია (13,4%) 80 წელზე უფროს ასაკში.



2020-2021 წლების განმავლობაში აჭარაში COVID-19-ით ინფიცირებული იყო სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის 48,2 %. ინფიცირებული სამედიცინო პერსონალიდან გარდაიცვალა 18 (2020 წელს-16, 2021 წელს-2), რაც ინფიცირებული პერსონალის 0,5%- შეადგენდა.

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

2021 წლის 15 მარტიდან ქვეყანაში დაიწყო COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, პირველივე დღიდან აჭარის რეგიონშიც დაიწყო ვაქცინაციის პროცესი, ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად მომდევნო პერიოდებში გაფართოვდა პირველადი დაწესებულებების სია, თანდათან ვაქცინაციაში ჩაერთო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის საექიმო ამბულატორია. იმ მოქალაქეებისათვის, რომელთა გადაადგილება შეზღუდულია, ვაქცინაცია ხორციელდებოდა ბინაზე მობილური ჯგუფის საშუალებით.

2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით, აჭარაში სულ ჩატარებულია 294 024 აცრა, მათ შორის:

- Pfizer BioNtech - 178 745დოზა
- AstraZeneca - 8 641 დოზა
- Sinopharm - 79 999დოზა
- Sinovac – 26 639დოზა

სრულად აცრილია (ორი დოზით) მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზევით) 49,2%. 2021 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ბუსტერ დოზით ვაქცინაცია და ჩატარებულია 4680 აცრა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით ყველაზე მაღალია მოცვა ბათუმში, შემდეგ ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შედარებით დაბალია მაჩვენებელი ხელვაჩაურსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

რეგიონი/ მუნიციპალიტეტი	1 დოზით მოცვა % (18 წელს ზემოთ)	2 დოზით მოცვა % (18 წელს ზემოთ)	2 დოზით აცრილი % სამიზნე 18 წელს ზემოთ 60%-დან
აჭარა	55,9%	49,2 %	81,9 %
ბათუმი	60,5%	54,0%	90,0%
ქობულეთი	48,8%	42,6%	71,0%
ხელვაჩაური	48,7%	42,4%	70,6%
ქედა	58,6%	50,0%	83,4%
შუახევი	56,7%	48,2%	80,3%
ხულო	57,2%	48,9%	81,5%

12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებულია 235 აცრა, მ.შ. 1 დოზა - 147

16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებულია 2144 აცრა, მ.შ. 1 დოზა - 1190

ყველაზე მაღალია მოცვა 60 + ასაკობრივ ჯგუფში, სულ ადმინისტრირებულია 75284 დოზა, 1-ლი დოზით მოცვა - 65%, 2 დოზით - 54,7%.